პარტიის ცალკე წევრები ბოლშევიკურად იბრძვიან კოლმეურნეობაში ავანგარდული როლის გამართლებისათვის. პარტიის წევრ. ბ. თოდუას 11 სექტემბრამდე გამომუშავებული ჰქონდა 170 შრომა-დღე. რ. თოდუას 123 შრომა-დღე. ს. ჯგანჯღავას 142 შრომა-დღე. ეს იმ დროს, როდესაც კოლმეურნეობაში შრომა-დღეების საშუალო გამომუშავება აღწევს 114-ს. ბოლშევიკური მუშაობის ნიმუშს იძლევა პირველი ბრიგადა, ბრიგადაში 34 კაცი მუშაობს. მათ გამომუშავებულ აქვთ 3130 შრომა-დღე; მეორე ბრიგადაში 36 კაცი, რომელთაც აქვთ 1985 შრომა-დღე; კოლმეურნეობაში არიან საუკეთესო დამკვრელი კომუნისტები (რ. თოდუა, ს. თოდუა და სხვანი). სამწუხაროდ არ ხდება საუკეთესო დამკვრელების წახალისება, არ წარმოებს მოწინავეთა დაჯილდოება და კრიტიკის მხილება.

პარტწევრებისათვის მოსაწადებელი მუშაობა სუსტად მიმდინარეობს. კომუნისტების პირადი საქმეები წესრიგში არაა მოყვანილი. პარტუჯრედი არ ატარებს კომუნისტების ავანგარდული როლის შეპოვნებას. **კოლმეურნეობაში ორგპარტმასობრივი მუშაობის სუსტად გაწევის გამო ვერ სრულდება საწარმოო დავალებები.** კოლმეურნეობას ჩაის პლანტაციები გაშენებული აქვს 47 ჰექტარზე. სიმინდის ნათესები აქვს 60 ჰექტ. გეგმის მიხედვით ჩაის მესამე გათიბნა უნდა დამთავრებულიყო 10 აგვისტოსათვის, ფაქტიურად კი 24 აგვისტოს დამთავრდა. დაგვიანებით შესრულდა ჩაის მეოთხე გათიბნის გეგმაც.

სასოფლო საბჭო სუსტად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას. ამას იხიც ადასტურებს, რომ სოფლის საბჭოს თავ-რემ ამხ. თოდუამ არ იცის, კოლმეურნეობაში როგორ სრულდება საწარმოო დავალებები.

ნარაზენის კოლმეურნეობაში არ არიან გამოყოფილი **აგრორწმუნებულები;** კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სასოფლო საბჭო ამ მდგომარეობას არ აქცევენ ყურადღებას. **კოლმეურნეობის თავ-რემ თავის ბიძაშვილს გადასცა 2 ჰექტ. ჩაის პლანტაცია.** თავმჯდომარის ასეთი საქციელის წინააღმდეგ პარტუჯრედს არავითარი ზომები არ მიუღია.

პოლიტგანყოფილების მუშაკებმა დაწვრილებით შეისწავლეს კოლმეურნეობის მუშაობა. გაარკვიეს რომ კოლმეურნეობა ჭაობიურ მდგომარეობაშია, გამგეობა თვითდინებაზეა დაყრდნობილი და გეგმები არ სრულდება. მოხსნილ იქნა კოლმეურნეობის თავ-რე. დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი კოლმეურნეობაში მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ ზუგდიდის სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილება ბოლშევიკურად იბრძვის საკ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის 15 ივნისის გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის.

არტ. ალიბეგაშვილი.

პოლიტგანყოფილებების დახმარებით

(„კომუნისტი“-ს სპეც. კორესპონდენტისაგან)

ჯუგდიდის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილებამ თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა პარტიულ - მასობრივი მუშაობის გარდაქმნის საქმეში. პოლიტგანყოფილებამ საბრძოლო ამოცანად დაისახა **კოლმეურნეობებზე კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევა, თვითეულ კოლმეურნეობის ბოლშევიკურად და თვითეული კოლმეურნის შეძლებულად გადაქცევა.**

პოლიტგანყოფილებების მუშაკები კანცელარიაში კი არ სხედან, არამედ კოლმეურნეობებში იმყოფებიან და მათ კონკრეტულ დახმარებას უწევენ საწარმოო დავალებათა შესრულების და მუშაობის ახალ ამოცანებთან შეფარდებით გარდაქმნის საქმეში. პოლიტგანყოფილების ოპერატიული ხელმძღვანელობით კოლმეურნეობებიდან გაძევებული აქნენ უცხო ელემენტები, რომელნიც იქ დამრღვევ მუშაობას ეწეოდნენ.

აი ფაქტები ნარაზენის კოლმეურნეობის სინამდვილიდან. ნარაზენის კოლმეურნეობა 1931 წელს ჩამოყალიბდა. ის 44 კომლს აერთიანებს. აქ არსებობდა ტერიტორიული პარტუჯრედი, საკ. კ.პ. (ბ) ცკას 15 ივნისის დადგენილების რეალიზაციის საფუძველზე პარტიული მუშაობის გარდაქმნის საქმეში თვალსაჩინო გარდატეხა მოხდა. კოლმეურნეობაში შემუშავე კომუნისტები გამოეყვნენ ტერიტორიულ უჯრედს. **კოლმეურნეობაში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი პარტუჯრედი.** პარტიის შვიდი წევრით; აქედან 5 კომუნისტი მუშაობს საკოლმეურნეო წარმოებაში. პარტიული ძალები სწორად არიან განაწილებულნი. კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულია სამი ბრიგადა. პირველ ბრიგადაში ჩამოყალიბებულია პარტჯგუფი, მეორეში გამოყოფილია პარტორგანიზატორი, მესამე ბრიგადაში კი **პარტიის არც ერთი წევრი არაა.** ბრიგადაზე მიმაგრებულია პარტიის წევრი ამხ. **ი. თოდუა,** მაგრამ ის **არავითარ მუშაობას არ ატარებს ბრიგადაში.**

ძირეულ პარტიულ რგოლებს პარტუჯრედი სუსტად ხელმძღვანელობს. არ ხდება ურთიერთშორის მუშაობის დადებითი გამოცდილების გაზიარება. კოლმეურნეობის წევრების უმრავლესობა ჩაბმული სოციშეჯიბრში და დამკვრელობაში; ბრიგადებს შორის დადებულია სოც შეჯიბრების ხელშეკრულებები, მაგრამ **ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ობიექტები არ არის კონკრეტული.**

პარტიის ცალკე წევრები ბოლშევიკურად იბრძვიან კოლმეურნეობაში ავანგარდული როლის გამართლებისათვის. პარტიის წევრ. ბ. თოდუას 11 სექტემბრამდე გამომუშავებული ჰქონდა 170 შრომა-დღე. რ. თოდუას 123 შრომა-დღე. ს. ჯგანჯღავას 142 შრომა-დღე. ეს იმ დროს, როდესაც კოლმეურნეობაში შრომა-დღეების საშუალო გამომუშავება აღწევს 114-ს. ბოლშევიკური მუშაობის ნიმუშს იძლევა პირველი ბრიგადა, ბრიგადაში 34 კაცი მუშაობს. მათ გამომუშავებულ აქვთ 3130 შრომა-დღე; მეორე ბრიგადაში 36 კაცი, რომელთაც აქვთ 1985 შრომა-დღე; კოლმეურნეობაში არიან საუკეთესო დამკვრელი კომუნისტები (რ. თოდუა, ს. თოდუა და სხვანი). სამწუხაროდ არ ხდება საუკეთესო დამკვრელების წახალისება, არ წარმოებს მოწინავეთა დაჯილდოება და კრიტიკის მხილება.

პარტწევრებისათვის მოსაწადებელი მუშაობა სუსტად მიმდინარეობს. კომუნისტების პირადი საქმეები წესრიგში არაა მოყვანილი. პარტუჯრედი არ ატარებს კომუნისტების ავანგარდული როლის შეპოვნებას. **კოლმეურნეობაში ორგპარტმასობრივი მუშაობის სუსტად გაწევის გამო ვერ სრულდება საწარმოო დავალებები.** კოლმეურნეობას ჩაის პლანტაციები გაშენებული აქვს 47 ჰექტარზე. სიმინდის ნათესები აქვს 60 ჰექტ. გეგმის მიხედვით ჩაის მესამე გათიბნა უნდა დამთავრებულიყო 10 აგვისტოსათვის, ფაქტიურად კი 24 აგვისტოს დამთავრდა. დაგვიანებით შესრულდა ჩაის მეოთხე გათიბნის გეგმაც.

სასოფლო საბჭო სუსტად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას. ამას იხიც ადასტურებს, რომ სოფლის საბჭოს თავ-რემ ამხ. თოდუამ არ იცის, კოლმეურნეობაში როგორ სრულდება საწარმოო დავალებები.

ნარაზენის კოლმეურნეობაში არ არიან გამოყოფილი **აგრორწმუნებულები;** კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სასოფლო საბჭო ამ მდგომარეობას არ აქცევენ ყურადღებას. **კოლმეურნეობის თავ-რემ თავის ბიძაშვილს გადასცა 2 ჰექტ. ჩაის პლანტაცია.** თავმჯდომარის ასეთი საქციელის წინააღმდეგ პარტუჯრედს არავითარი ზომები არ მიუღია.

პოლიტგანყოფილების მუშაკებმა დაწვრილებით შეისწავლეს კოლმეურნეობის მუშაობა. გაარკვიეს რომ კოლმეურნეობა ჭაობიურ მდგომარეობაშია, გამგეობა თვითდინებაზეა დაყრდნობილი და გეგმები არ სრულდება. მოხსნილ იქნა კოლმეურნეობის თავ-რე. დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი კოლმეურნეობაში მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ ზუგდიდის სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილება ბოლშევიკურად იბრძვის საკ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის 15 ივნისის გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის.

არტ. ალიბეგაშვილი.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება

სოფლის პარტხელის გარდაქმნაზე საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის 1933 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ

აღინიშნოს, რომ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ივნისის და საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის 31 ივლისის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ამიერკავკასიის მთელ რიგ რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში (ზესტაფონი, განჯა, გორი, უამარლუ, შამქორი და სხვ.) მიღწეულია დადებითი შედეგები სოფლად პარტიული ორგანიზაციების ჭკვლის გარდაქმნისა და საკოლმეურნეო წარმოების პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცების მხრით ამ მიღწევებმა უზრუნველყვეს ბოლშევიკური კოლმეურნეობებისათვის ბრძოლაში, საკოლმეურნეო უჯრედების ბრძოლის უნარიანობის საგრძნობლად გაძლიერება.

მაგრამ, მიუხედავად საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მიერ არაერთხელ მიცემული გაფრთხილებისა პარტჭილის გარდაქმნის საქმისათვის არსებითი შინაარსის გამოცლის და მისი მხოლოდ ორგსტრუქტურის საკითხებამდე ჩამოქვეითების წინააღმდეგ, მთელმა რიგმა რაიონებმა ვერ უზრუნველყვეს ამ მითითების შესრულება და ამ მუშაობას მიუდგნენ ფორმალურად (ადგილობრივ, გეოგრაფია, ლაგოდეხი, გერგუხი, ახტალა და სხვ.). ძირითად დეფექტს წარმოადგენს ის, რომ არ ხდება გარდაქმნილი პარტჭილის განმტკიცება ქალაქებიდან და რაიონული ცენტრებიდან გადაყვანილი კომუნისტების შემოწმებული კადრების შემწეობით, მეტად ზანტად მიმდინარეობს მუშაობა უჯრედთა მდივნების სარაიონთაშორისო და სარაიონო კურსების მოსაწყობად; სუსტად მიმდინარეობს მუშაობის გარდაქმნა კოლკავშირის ბაზით, დაშვებულია დამახინჯებანი სტრუქტურის საკითხებში (მოსამსახურეების დატოვება საკოლმეურნეო უჯრედებში, პარტკომკავშირული ბირთვის ორგანიზაცია საკანდიდატო ჯგუფების ნაცვლად, თანამგრძნობთა ჯგუფების კომპანიური ორგანიზაცია მოსამზადებელი მუშაობის გარეშე, თანამგრძნობთა ჯგუფების შემადგენლობის ხელოვნური გაძლიერ

1911 წ. დაბადებულთა გაწვევა

ახალწვეულები აღფრთოვანებით ცხადდებიან. გასაწვევ წერტებზე

ტფილისის გასაწვევმა წერტმა გამოასწორა ნაკლოვანებანი

ტფილისის გასაწვევ წერტში 3 და 4 ოქტომბერს კომისიის მუშაობა ნორმალურად განყოფილებების წარმომადგენლები ამაგრებენ ლიკუნქტებზე.

იმ ვარაუდით, რომ წითელ არმიაში მიღებულთა ნაწილებში გაგზავნამდე მოხდეს მათი უცოდინარობის ლიკვიდაცია.

საგრძნობლად გაცხოველდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სპეციფიკური საქმიანობა. ყოველდღიურად გაწვევულთათვის უფასოდ იმართება ორი კინო-სეანსი. გარდა ამისა, გაწვეულთა კულტურული მომსახურეობის მიზნით მათ ურიგდებათ სხვადასხვა გასართობზე შესასვლელი უფასო ბილეთები.

კვლავ განაგრძობს ჩამორჩენას რადიოცენტრი. დღემდე მან ვერ მოაგვარა გამწვევ წერტზე გადაცემისა და რადიოდადგმულობის მოწყობა. რა არის ეს? საქმის უცოდინარობა თუ მოუნდომლობა? კუს ნაბიჯზე მუშაობა ჩვენს პრაქტიკაში უნდა აღიკვეთოს.

თავდაცვა-ავიაქიმის ხერხემ ჯერ კიდევ მთლიანად ვერ გარდაქმნა მუშაობა, საქმეს აბრაკოლებს ის, რომ არ არის ერთგვაროვნება. წერტზე მომაგრებულ 4 კაცს ყველას უფროსად მოაქვს თავი. ისინი მეტ დროს ანდომებენ ბაასს იმაზე, თუ ვისი განკარგულება უნდა შესრულდეს, გაწვეულები და მათთან მუშაობა კი მხედველობის გარეშე რჩებათ. ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

გაუმაჯობესდა გასაწვევთა კოოპერატიული მომსახურეობა, ის არანორმალური მდგომარეობა ფასების არცოდნის მხრით, რასაც ადგილი ჰქონდა პირველ დღეს, აღმოფხვრილია. ყველაფერი იყიდება დახურულგანმაბარებელის მტკიცე ფასად. მომარაგების საქმეში შეფერხებას ადგილი აღარა აქვს.

ს. გოლ—ძე

გაწვევა წარმატებით მიმდინარეობს

პირველ ოქტომბერს ფოთში დაიწყო გაწვევა. გასაწვევ პუნქტთან მისასვლელი ქუჩები და თვით პუნქტი მორთულია ლოზუნგებითა და პლაკატებით. პარტიული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები გაცხოველებით ემზადებიან გასაწვევთა შესახვედრად, მოწყობილი აქვთ კუთხეები, გამოყვეს გაწვეულთა ჯარის მომუშავეები და სხვ.

თავდაცვა-ავიაქიმის ხაზით ყველა გაწვეულს დამთავრებული აქვს სამხედრო მომზადების ასოცსაათიანი პროგრამა.

გაწვევის წინადღით მოეწყო გაწვეულთა კონფერენცია, რომელზედაც მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ წარმოებებში ჩამოყალიბებულ **1911 წ. დაბადებულთა ბრიგადების** ხელმძღვანელები ამხ-ბი: **ადამია**, გულორდავა და სემიონოვი. მათ გააცნეს კონფერენციას გაწვეულთა მიღწევები საწარმოო გეგმების შესრულების დარგში და ყველა გასაწვევის სახელით პირობა დასდეს: წარმოების დამკვრელურ **ტემპებს** გადავიტანთ წითელ არმიაში და ასეთივე თავდადებით ვიბრძოლებთ საბრძოლო-პოლიტიკურ მომზადების მაღალი მაჩვენებლებისათვის.

პირველი ოქტომბერი გადაიქცა საზეიმო დღედ. გაწვეული მწყობრად თავიანთი წარმოებების წარმომადგენლების თანხლებით გამოცხადდენ გასაწვევ პუნქტზე.

გაწვევი კომისია სავსებით მომზადებული შეხვდა გაწვევას. პუნქტზე ყარგად არის დაყენებული აგიტმასობრივი და პარტიული მუშაობა. კოოპერატიული მომსახურეობა საუცხოოა. გასაწვევთა შორის არ აღმოჩენილა წერა-კითხვის არცერთი უცოდინარი,

გამოვიდა გაზეთ **„ფოთის მუშა“**-ს სპეციალური ნომერი, მიძღვნილი გაწვევისადმი. წერტში გამოდის ილიჩოკა.

ფოთმა გაწვევის წარმატებით ჩატარებისათვის დიდი სამზადისი ჩაატარა.

ფოთის პროლეტარიატი წითელ არმიას ძლევის პოლიტიკურად შეგნებულ, წერაკითხვის კარგად მცოდნე და ფიზიკურად ჯანსაღ შეესებას.

ბაღათურია.

სენაკის რაიონი ემზადება გაწვევისათვის

21 ოქტომბრიდან სენაკის რაიონში დაიწყება 1911 წელს დაბადებულთა წითელარმიაში გაწვევა. მოსამზადებელი მუშაობა უკვე სავსებით დამთავრებულია. რაიონი ყოველმხრივ მომზადებული ხვდება მორიგ გაწვევას.

სენაკის რაიონს გამწვევ უბნებზე მიწერილ 357 გასაწვევთა შორის წერა-კითხვის უცოდინარი იყო 81 და მცირემცოდნე 106 ყველა ისინი რაიაღმასკომის განათლების განყოფილების მიერ მიმაგრებული იქნენ ლიკპუნქტებზე, სადაც მეცადინეობენ, ნაყოფიერად წარმოებდა, 20 მაისისათვის წერა-კითხვის უცოდინარობა რაიონში სავსებით აღმოუფხვრელი იყო და უცოდინ. ხდებიან შეუერთდენ მცირემცოდნეებს. ამჟამად რაიონში არიცხება მხოლოდ წერაკითხვის უცოდინარი. მათი ჩამორჩენა აიხსნება იმით, რომ ისინი დეფექტიანები არიან და ვერ ითვისებენ სწავლას.

მოსამზადებელი მუშაობის ერთერთ ძირეულ საკითხად მიჩნეული იყო გასაწვევთა **კლასობრივი შერჩევა**. რაიონის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ბოლშევიკურად იბრძოდენ ლოზუნგისათვის **„არც ერთი უცხო ელემენტი წითელი არმიის რიგებში“**.

გასაწვევთა კლასობრივი შერჩევა რაიონში ტარდება შრომელთა ფართო მასების მონაწილეობით. თვითეული მათგანი იცხრილება კრკლმეურნეთა და სასოფლო საბჭოს კრებებზე. შედგენილია ყველა გასაწვევის დახასიათება.

გასაწვევთა შორის დიდი მუშაობა ჩატარა **თავდაცვა-ავიაქიმის** ორგანიზაციამ. დღეისათვის ასოცსაათიან პროგრამით სამხედრო სწავლება დამთავრებული აქვს 309 კაცს, ე. ი. გასამხედროებულია გასაწვევთა 86,1 პროც. სწავლების დამთავრების შემდეგ გაწვეულები გატარებული იქნა ბასკაში.

სასოფლო საბჭოსთან გამოყოფილი არიან გაწვევის შემმოწმებელი ბრიგადები, რომლებიც ადგილებზე ამოწმებენ მუშაობის მიმდინარეობას და ეხმარებიან დეფექტების გამოსწორებაში.

ფართო აგიტმასობრივი მუშაობის გაჩაღების საფუძველზე გაიზარდა სამხედრო სკოლებში მოხალისეთა შესვლის მისწრაფება. სულ რაიონში განსხვდება აქვს შემოტანილი 29 კაცს, ამათ რიცხვიდან შერჩეული იქნა კანდიდატებად 9 საუკეთესო დამკვრელი, რომლებიც სავსებით აკმაყოფილებენ სამხედრო სკოლებში მიღების პირობებს.

გაჩაღებულია გაწვევისათვის მუშაობა. ჭიქები მორთულია სადღეისო ლოზუნგებით. გამოყოფილია გაწვევი კომისიის წევრები, რომლებთანაც ყოველ ექვს დღეში ერთხელ ტარდება ინსტრუქტაჟი.

გამოქვეყნებულია გაწვევის შესახებ ბრძანება. ყველა გასაწვევს გაგზავნილი აქვს გამოსაცხადებელი უწყება.

ასეთია სენაკის სახ. კომისარიატის და პარტიული ორგანიზაციების მუშაობა გაწვევის წარმატებით ჩატარებისათვის. სენაკი იბრძვის **ს.ხ.რ.კ. რევსაბჭოს გარდამავალი დროშისათვის**

ი. ქაჩიბაია.

1911 წელში დაბადებულთა წითელ ჯარში გაწვევა. ტფილისის გასაწვევი პუნქტის ექიმი ამხ. კურისი ესაუბრება ახალწვეულებს სანიტარული განათლების საკითხებზე

საბჭოთა კავშირიდან

ნოვოსიბირსკში ჩამოვიდა დოქტორი ლოვენ-კანი

ნოვოსიბირსკი, 3 ოქტომბერი. ნოვოსიბირსკში ჩამოვიდა ლოვენ-კანი, რომელიც საბჭოთა ტერიტორიაზე გავლით მიემგზავრება დასავლეთ სინძიანში ადგილობრივი მდგომარეობის გასაცნობად. მოსკოვიდან ჩასულ ჩინეთის ელჩთან ბ. იანთან შეხვედრის შემდეგ დოქტორი ლოვენ-კანი ნოვოსიბირსკიდან ცალკე გაემგზავრა.

მძლავრი თბოგენერატორი

ლუგანსკი, 3 ოქტომბერი. მილების ჩამოსასმელ ქარხანაში, რომელიც ამჟამად შენდება, გამოსცადეს პირველი თბოგენერატორი 160 კუბომეტრი ორთქლის სიმძლავრით საათში. მონტაჟის ხარისხი არ ჩამოუვარდება უცხოელი სპეციალისტების ნამუშევარს. თბოგენერატორმა უკვე მოგვცა ორთქლი. სწორმოქმედი მეორე და მესამე გენერატორის მონტაჟი (ადა).

ახალი მეტეორიტი

ლენინგრადი, 3 ოქტომბერი. სამეცნიერო აკადემიამ მიიღო დეპეშა ახალი მეტეორიტის ჩამოვარდნის შესახებ. მეტეორიტი ჩამოვარდა 2 ოქტომბერს ქალაქ კურანახის (ურალი) მახლობლად. აკადემიის უურალის ფილიალს დაევალა გამოიკვლიოს მეტეორიტის ჩამოვარდნის ნამდვილი ადგილი და გარემოება (ადა).

მოსკოვის ოლქმა შეასრულა საშემოდგომო თესვის გეგმა

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. პირველი ოქტომბრისათვის მოსკოვის ოლქში შესრულდა საშემოდგომო თესვის მთავარობის გეგმა. დათესილია 1.670.900 ჰექტარი. (ადა).

მარილის უდიდესი ბუდობი მსოფლიოში

ლენინგრადი, 3 ოქტომბერი. სამეცნიერო აკადემიის ტაჯიკოპამირის რაზმმა კულიამის მთის (180 კილომეტრზე სამხრეთ აღმოსავლეთით სტალინაბადიდან) რაიონში აღმოაჩინა მარილის უდიდესი ბუდობი მსოფლიოში. ბუდობი წარმოადგენს მთას ზოგა-მუმინის სახელწოდებით. მთის სიმაღლე 600 მეტრია ფერდობის დონედან, მისი პოცულობა—8,3 კილომეტრია. ამ მთაში მარილის მარაგი 30 მილიარდ ტონას აღემატება, მარილიანი ფენების მოწისქვილში ხვრილების ჩაუთვლელად. ზოგა-მუმინის მთის მარაგი იმდენად დიდია, რომ მარილის თანამედროვე მოხმარების ანგარიშით ის მთელ კაცობრიობას ეყოფა ათას წელიწადს. საკსებით შესაძლოა ავრეთვე, რომ ამ რაიონში მოიპოვება ნავთიც. (ადა).

ცნობები არქტიკიდან

„სიბირიაკოვი“, 1 ოქტომბერი. ყინულებთან 14 დღის ენერგიული ბრძოლის შემდეგ ყინულისმჭრელმა „სიბირიაკოვმა“ 30 სექტემბერს მიაღწია დიკსონის კუნძულს. ვიღებთ ნახშირს და სასმელ წყალს, რის შემდეგ კარსკის ექსპედიციის ჭარავანთან ერთად გავემზადებით იოგორსკის ბუროთობისაკენ.

არხანგელსკი, 3 ოქტომბერი. ყინულმჭრელებმა —„ჩუსკოვმა“, „სიბიაკოვმა“ და „სედოვმა“ დასტოვეს დიკსონის კუნძული და მოემგზავრებიან არხანგელსკში. მათ აქ მოელიან 8—10 ოქტომბერს.

რაჭის მოლიზდენი სამრეწველო მნიშვნელოგისა

გეოლოგების კომისიის ფინანსური დასკვნა

ზემო-რაჭიდან დაბრუნდა გეოლოგების სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიოდენ—აკადემიათა ლითონების საკავშირო ტრესტის, აზნაურ ლითონების საბადოების გამომკვლევი სამმართველოს („სოიუზრედმეტრესტის“) და საქართველოს ძირითადი მრეწველობის სახ. კომისარიატის სპეციალისტები. საქართველოს ძმიმე მრეწველობის სახკომის ირწმუნე, მოადგილის ამხ. ს. გოდაბრელიძის ხელმძღვანელობით კომისიის საბადოებზე მიღინების მიზანი იყო—საბადოების ადგილმდებარეობის დათვალიერება, საბადოებთან მისასვლელი გზის მიმართულების არჩევა, მარაგის გამოკვლევა და საერთოდ მოლიბდენის მადნის ამოღების დაწყებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა.

ზემო-რაჭის მოლიბდენის სამრეწველო ამოღება დაწყებული უნდა იქნეს 1934 წელს. საჭიროდ უკვე მეორე წელიწადია, რაც წარმოებს მადნის საბადოების გამოკვლევა. კომისიამ დათვალიერა მადნის საძიებელი ჭაბურღილები, საიდანაც ყველაზე უკეთესი ნიმუშები მოგვცა უკანასკნელმა ჭაბურღილმა. ჭაბურღილებიდან ამოღებული მადნის ნიმუშები გადავზავნილია შესაფერის ლაბორატორიებში საბოლოო დასკვნის მისაღებად. მადნის ანალიზის შედეგებიდან გამოირკვევა, მიზანშეწონილი იქნება თუ არა მადნის სამრეწველო ამოღების ამ თავითვე დაწყება, თუ საჭირო გახდება კიდევ დამატებითი საძიებელი სამუშაოების ჩატარება.

გეოლოგების **ი. ლურიეს, ი. კოგანის** და **გ. ლიდობერძის** განცხადებით, მოლიბდენის საბადოებიდან ამოღებული ნიმუშები გარეგნულად ერთ შთაბეჭდილებას ტოვებენ და წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ რაჭის მოლიბდენი სამრეწველო მნიშვნელობისაა არ იქნება ეს ძირითადი სათნონის საბადოები შდებარეობს სოფ. ღებოდან 10 კილომეტრის დაშორებით და ქვეშეთას სათავესთან. საბადოებამდე გაყვანილია ყმირის გზა და დიდი ბარკეტების გაწევა არ იქნება საჭირო ადისათვის, რომ იგი გზატკეცილად იქნეს გადაკეთებული.

თვით მოლიბდენის საბადოები შდებარეობს მთის მწვერვალზე. მადნის ფენების ადგილი მდ. ჭეჭურას დონიდან 700 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ეს სიმაღლე თითქმის ეკონომიკურია და საექსპლოატაციო სამუშაოების დასაწყებად აქ საჭირო იქნება ან მექანიზების მოწყობა, ან სხვა ასასვლელ-ჩამოსასვლელი საშუალების გამონახვა.

იქვე მოლიბდენის საბადოების გვერდით აღმოჩენილია ანტიმონიტის მადნის მდიდარი საბადო. მოლიბდენის ძიებისას წაწყდენენ დარიშხანის სამ ძლიერ ძარღვს. თითო ძარღვის სისქე ზოგან 3 მეტრს აღწევს, ხოლო სიგრძე ერთ კილომეტრს აჭარბებს.

კომისიის საბოლოო დასკვნა, თუ მოლიბდენის საბადოების ე. წ. საბოლოო შეფასება მიღებული იქნება ჩამოტანილი ნიმუშების ანალიზის შედეგებთან გაცნობის შემდეგ.

ქრონიკა

● **თათბირი მწერალთა სასახლეში.** 7 ოქტომბრის საღამოს 7 საათზე სახ. ა.ლ.კ.კ. ცეკას ბ.კ. ცენტრ. ბიურო საბჭოთა მწერლების კავშირთან ერთად ხელოვნების საახალგაზრდო ფართო თათბირს **ბავშვთა ლიტერატურულ შემოქმედების და მათთვის მწერლების დახმარების გაწევის შესახებ.** თათბირზე მოწვეულნი არიან პარტიის და კომკავშირის მუშაკები. მწერლების და პედაგოგების და პიონერ ხელმძღვანელთა აქტივი.

● **სახ. საბჭოთა მხატვრების კავშირი** ოქტომბრის შუა რიცხვებში თავის სხვადასხვა დარბაზში (რუსთაველი № 10) ხსნის თეატრალურ - დეკორატიულ ხელოვნების გამოფენას. სხვადასხვა ექსპონატები წარმოდგენილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 10 ოქტომბრისა.

გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომრის ფელეტონში **„კლასების შესახებ საბჭოთა კავშირში“** დაშვებულია კორექტურული შეცდომა.

წერია „განსხვავება მუშასა და გლეხს შორის მოისპობა გლეხის მუშად გადაქცევით კი არა, კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობებად გადაქცევით კი არა; **არამედ** აგრო-ინდუსტრიალური კომბინატების მიერ კოლმეურნეობათა **შთანთქმით**“.

უნდა იყოს „განსხვავება მუშასა და გლეხს შორის მოისპობა გლეხის მუშად გადაქცევით კი არა, კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობებად გადაქცევით კი არა, **არა** აგრო-ინდუსტრიალური კომბინატების მიერ კოლმეურნეობათა **შთანთქმით**“, და სხვ.

კარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 5 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის საბჭოში ამხ. **მაჩაიძის** კაბინეტში შესდგება **სახ. კ.პ.(ბ) ტფილისის კომიტ. ბიუროს და საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა.** ტფილისის კომიტეტის ბიუროს და ტფ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

ყველა რაიკომების კულტპროპებს და მიმდინარე პოლიტიკის წრეების პროპაგანდისტებს საქართველოს კ.პ. (ბ), ტფილისის კომიტეტის კულტპროპაგანდისტების მიმდინარე პოლიტიკის წრეებისათვის აწყობს ქვემოდ დასახელებულ თემატიკას:

1. მოსავლის აღების კამპანიის შედეგები და საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ამოცანები—1 მეცადინეობა (საგარეუბნო რაიონში 2 მეცადინეობა).
2. რა ხდება გერმანიაში—1 მეცადინეობა.
3. რა ხდება შორეულ აღმოსავლეთში—1 მეცადინეობა.

აუცილებელი ლიტერატურა მოიპოვება რაიკომებისა და ტფილისის კომიტეტის პარტკაბინეტებში.

—:—

სახ. კ.პ. (ბ) ტფ კომიტეტის კულტპროპაგანდისტები.

ფეხბურთი

რ.ს.ფ.ს.რ. და უკრაინა

1933 წლის სეზონის ბოლოს მოსკოვში დინამოს სტადიონზე ჩატარდება რსფსრ-ისა და უკრაინის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრა რაც ყველაზე საინტერესო მატჩს წარმოადგენს.

რსფსრ ნაკრებ გუნდში შედიან მეკარე შორეცი (ლენინგრადი), დამცველი ან. სტაროსტინი და ტეტერინი (მოსკოვი), ნახევრად-დამცველი დუბინინი, ალექსანდრე სტაროსტინი და სტოლაროვი (ყველა მოსკოველი); თავდამსხმელები ნ. სტაროსტინი (მოსკოვი), დემენტიევი (ლენინგრადი), ივანოვი, ლაპშინი და ილინი (მოსკოვი); სათადარიგო მოთამაშენი რიაფინი, სელინი, სმირნოვი (მოსკოვი), დენისოვი (ივანოვო) და პოპოვი (ლენინგრადი).

მეტად ძლიერი გუნდი გამოიყვანა უკრაინამ. ამ გუნდში შედიან: საბჭოთა კავშირის სუკეთესო მეკარე: **ბაბკინი** (სათადარიგო იცკოვსკი), კ. ფომინი, კირილოვი, პრავალოვი; ტუტრეუ; ფომინი ნიკოლოზი; ბეგანია. დათესილია 1.670.900 ჰექტარი. (ადა).

ტფილისის დეპოსა და სარემონტო ქარხნის მუშათა შვილებისათვის გახსნილია საბავშვო კერა, რომელშიაც ზოგიერთი ბავშვი მთელი დღის განმავლობაში რჩება. მათთვის მოწყობილია სათამაშოების და ცვება. **სურათზე:** ბავშვები სადილობენ.

ფიზკულტურა და სპორტი

ფეხბურთი

რ.ს.ფ.ს.რ. და უკრაინა

1933 წლის სეზონის ბოლოს მოსკოვში დინამოს სტადიონზე ჩატარდება რსფსრ-ისა და უკრაინის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრა რაც ყველაზე საინტერესო მატჩს წარმოადგენს.

რსფსრ ნაკრებ გუნდში შედიან მეკარე შორეცი (ლენინგრადი), დამცველი ან. სტაროსტინი და ტეტერინი (მოსკოვი), ნახევრად-დამცველი დუბინინი, ალექსანდრე სტაროსტინი და სტოლაროვი (ყველა მოსკოველი); თავდამსხმელები ნ. სტაროსტინი (მოსკოვი), დემენტიევი (ლენინგრადი), ივანოვი, ლაპშინი და ილინი (მოსკოვი); სათადარიგო მოთამაშენი რიაფინი, სელინი, სმირნოვი (მოსკოვი), დენისოვი (ივანოვო) და პოპოვი (ლენინგრადი).

მეტად ძლიერი გუნდი გამოიყვანა უკრაინამ. ამ გუნდში შედიან: საბჭოთა კავშირის სუკეთესო მეკარე: **ბაბკინი** (სათადარიგო იცკოვსკი), კ. ფომინი, კირილოვი, პრავალოვი; ტუტრეუ; ფომინი ნიკოლოზი; ბეგანია. პროკოფიევი; პარავიშნიკოვი, ლაიკს, კოპეიკს და შორდაკს.

1933 წლის სეზონის ბოლოს ორიოდე გუნდი ერთმანეთს შეხვდება სატყეოსულოდ მომზადებულები და თოთქმის თანასწორი ძალებით. („პრავდა“).

ტფილისის კავშირგაბმულობის მუშაკთა კავშირის ფიზკულტურელთა სპარტაკიადა

6 სექტემბერს ლენინის სახელობის სტადიონზე ჩატარდება ტფილისის კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის ფიზკულტურელთა სპარტაკიადა. სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებენ ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოცენტრის, რადიომეურნეობის, კავშირგაბმულობის ტექნიკუმის მუშაკის და ინსტიტუტის კოლექტივები. სპარტაკიადას პროგრამაში შეტანილია რბენა 100 მეტრზე, ხტომა სიგრძეზე გამორბენით და ადგილიდან. ხტომა სიმაღლეზე გამორბენით და ადგილიდან. ყუმბარის ტყორცნა. ამასთანავე ბენი. სროლა მიზანში, ბაგვარის ქაჩა, ფარეშბურთი და კალათბურთი.

სეზონის გახსნა

სახ. ოპერა

5 ოქტომბერს	6 ოქტომბერს	7 ოქტომბერს
1 აბონ. 1 წარ	მე-3 აბონ. 1 წ.	მე 5 აბონ. 1 წარ.
აგვისტო და ეთერი	**ცოლკა**	**ჩიო-ჩიო-სან** (ქალბ. ბატერფლეი)

ის აბონენტები, რომელთაც არ ეკუთვნით გადაადგილება მესამე მორიგი გადასახდელი ვინტ აბონემენტებზე 5 ოქტომბრამდე ჩათვლით, ჰქარგავენ წარმოდგენაზე ადგილის უფლებას და მათი ადგილი გაიყიდება ცალობით.

სახელმწიფო ქინო-თეატრები:

ოქტომბერი 8 9-20. 10-40.	საზღვარგ. კომ. შკაფასკნელი ცნობები პროგ. გარ.—სურ № 13
დიანა 7-45, 9-10. 10-45.	მხატ ისტ ფილმი **ბულტ-ბატირი** პროგრამის გარეშე ყურნალი № 23
ტივოლი სახ. 7-30, 9-20, 11 ზამთრის 7, 8-45, 10-30	მხ. ფილმი **ძალი გენის გაძაბინდან** პროგრამის გარეშე—სურ № 22
კომინტერნი (დიდუბე) 8-30, 10	სათავგადასავალო ფილმი **აბრეკ-ზაუჩარი**
ოქტომბერი 7, 8-45, 10-30.	ხმ. ფ. **მოგვენება, რომელიც აღარ განმეორდება** პრ. გარ.—ხმ. ჟ. № 6
დიანა 7-30, 9, 10-30.	სახღ. ფ. **კინდრაგანდისტები ჩილეში** პროგ. გარ. ყურ. № 23
რ. ლიუქსემბურგის 7, 8-45, 10-30	ხმ. ფილ. **ცისფერი ეშხპრინცი** პრ. გარ.—ხმოვანი ჟ. № 19
ჯარტაკი 7-30, 9, 10-30	ლ. ნ. ტოლსტოის მიხედვით **კაზაკები** პრ. გარ. ერიოს ჩამოსულა სახბჭ. კავშ.
ჟნ-ის ახალგაზრდობის (აღლაბარში)	სათავგადასავალო ფილმი **ალიო** პროგრამის გარეშე ყურ. № 24
ჭეკნიშრომა დ ტექნიკა 8, 9-30	სამეცნიერო ფილმი **მიჩურინის სანერგე**
სახავშვო კინო დღის 12 და 2 საათზე	მხატვრული კომედია **საშრ-საფლავი**

კინო ოქტომბერი

ამ დღეებში

„მეფე იოანე მრისხანე“

(ხოლოკის ფრთები) ნ. 369

სამოქ. სახ. პრ. კოდ. 306 მუხ. თანახმად, ქ. ტფილისის გაერთიანებულ სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი **დ. ბ ჩიქოვანი** ამით აცხადებს, რომ 1933 წ. 7/X დღის 10 საათზე ქ. ტფილისში, შატბის ქუჩა № 4,

საჯარო ვაჭრობით

გაჰყიდის სახ. ხილბოსტანის მოძრავ ქონებას კანცელარიის მოწყობილობას, 2 საბექძ მანქანას, 2 ავტომობილს, ძმრის ქარხანას თავის მოწყობილობით, 2000 ვედ. ძმარს და ხილის წვე ს. ქონება შეფასებულია 26330 მ და გაიყიდება აჯაპარო ტრანსპორტის პრეტენზიის და საკმაყოფილებლად. თანახმად არბიტრის დადგენილებისა. 85

გაზეთ „კომუნისტ“-ში ა. წ. 30 სექტემბრიდან გამოქვეყნებული განცხადების შესაცვლელად,

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სოციალური დაზღვევის განყოფილება აცხადებს, რომ პროფკავშირების სადარგო დამზღვევ სალაროებისათვის გასაწვევი ბანკნოტების საქართველოს განყოფილებაში ტფილისში მთლიანი მიმდინარე ანგარიშები და მთლიანი ძველმოდინარე ანგარიშები სახელმწიფო ბანკის საქართველოს განყოფილების ყველა ფილიალებში.

ყველა წამოწყებები და დაწესებულებები ვალდებულნი არიან ა.-წ. 1/10-დან სოცდაზღვევის ანარიცხები შეიტანონ პროფკავშირების სათანადო სადარგო დამზღვევ სალაროების მიმდინარე და ქვემიმდინარე ანგარიშებზე,

სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებებისათვის 1934 წ. პირველ იანვრამდე ძალაში რჩება სოცდაზღვევის ანარიცხების გადახდის ცენტრალიზებული წესი და სოცდაზღვევის ანარიცხები შეტანილი უნდა იქნეს ტფილისის მახედვით საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სოციალურ დაზღვევის განყოფილების მიმდინარე ანგარიშზე № 1582 სახბანკში, ხოლო რაიონებში რაი პროფსაბჭოების სოცდაზღვევის მიმდინარე ანგარიშებზე.

მიმდინარე ანგარიშების სია

პროფკავშირების სადარგო დამზღვევ სალაროების დასახელება	მთლ. №№ მიმდ. ქვემიმდ. ანგარიშ.
1. სადარგო დამზღ. სალარო—ნახშირის მრეწველობის	158/5001
2. „ „ „ „ ნავთის მრეწველობის	158/5002
3. „ „ „ „ ტორფი სლანცის მრეწველობის	158/5003
4. „ „ „ „ სამთო მადნ. მრეწველობის	158/5004
5. „ „ „ „ შავი ლითონის	158/5005
6. „ „ „ „ ფერად ლითონის მოპოვება დამუშავების	158/5006
7. „ „ „ „ საერთო მანქანათ მშენებლობის	158/5007
8. „ „ „ „ სატრანსპორტო მანქანათ მშენებლობის	158/5008
9. „ „ „ „ სასოფ. სამეურ. მანქანათ მშენებლობის	158/5009
10. „ „ „ „ ავიო ავტო ტრაქტ. მანქ. მშენებლობის	158/5010
11. „ „ „ „ ელექტრონის მრეწველობის	158/5011
12. „ „ „ „ ძირითადი ქიმია	158/5012
13. „ „ „ „ რეზინი-ქიმია	158/5013
14. „ „ „ „ მინა ფაიფურის	158/5014
15. „ „ „ „ მჭიდი-კერამიკის	158/5015
16. „ „ „ „ ხე-ტყის ჩამოცურების	158/5016
17. „ „ „ „ ხე-ტყის დამუშავების	158/5017
18. „ „ „ „ მბეჭდავთა	158/5018
19. „ „ „ „ მექაღალდეთა	158/5019
20. „ „ „ „ ბაბმა ქაღალდის მრეწველობის	158/5020
21. „ „ „ „ მატყლის	158/5021
22. „ „ „ „ სელი „ჰენენ-დუტი“	158/5022
23. „ „ „ „ მეტყავეთა	158/5023
24. „ „ „ „ მეფრავეთა	158/5024
25. „ „ „ „ შაქრის	158/5025
26. „ „ „ „ პური-საფქვავ-სამაჭარლამო	158/5026
27. „ „ „ „ თევზის მრეწველობის	158/5027
28. „ „ „ „ ხორცი-კონსერვის მრეწველობის	158/5028
29. „ „ „ „ სოფლის ნაწარმის	158/5029
30. „ „ „ „ სამ.-საბინაო კომმშენებლობის	158/5030
31. „ „ „ „ შოფერების და ავიო-მომუშავეთა	158/5031
32. „ „ „ „ კავშირგაბმულობის	158/5032
33. „ „ „ „ კომუნალურ მეურნეობის	158/5033
34. „ „ „ „ ქალაქის წამოწყებანი და შინამოსამსახ.	158/5034
35. „ „ „ „ სახვაგრობის და კოოპერაციის	158/5035
36. „ „ „ „ სახოგადო კვების	158/5036
37. „ „ „ „ განათლების მუშაკთა	158/5037
38. „ „ „ „ მედსანშრომის	158/5038
39. „ „ „ „ ხელოვნების	158/5039
40. „ „ „ „ სახდაწყებულებების	158/5040
41. „ „ „ „ ფიზ ბანკის მომუშავეთა	158/5041
42. „ „ „ „ სამინვადმოქმედო საბჭოთა მეურნ.	158/5042
43. „ „ „ „ მეცხოველეობის საბჭ. მეურნ.	158/5043
44. „ „ „ „ სამნაწ სატრ. სადგურების	158/5044
45. „ „ „ „ რკ. გზ. და გზატკ. მშენებლობის	158/5045
	370

გაანათლ. სახკომი.

ნებართვით

ვაგზადეგთ მოწაფეებს:

10-წლ. და 7-წლ. მოწმობისათვის. აქვე ვასწავლით ბუხჰალტერიას და კომერციულ გამოანგარიშებას **გუხჰალტრის** და **მოანგარიშის** თანამდებობისათვის.

კარგარეთელის ქ. № 3 A კინო „ოქტომბრის“ მახლობლად. დილ. 8-10 ს. საღ. 4-6 ს. 10—8

საქართველოს მზეზაუქ მრეწველობის კომისარიატის შინამრეწველობის სექციის დადგენილების თანახმად ცნადდება კოოპ. არტელ

„მარცვალი“-ს ლიკვიდაცია

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და პირებმა უნდა მიმართონ პრეტენზიით ლიკვიდკომს 15 ოქტომბრამდე იაზონოვის ქ. № 15.

86 **ლიკვიდკომი**

მეუღლე თეოფილე, შვილები: ვალერიანე, ლამარა, ნათელა შენგელაები, დედა ფადინე იუწყებიან, რომ 6 ოქტომბერს 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძარად დაუვიწყარი

გოგონა მიქაძე-შენგელაია

ხსოვნის აღსანიშნავად. 68

დამწუხრებული ერასტი ცოლით; ძმები კოლია ცოლით, ლევანი, გრიგოლი მახათაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს უსაყვარლესი პატარა

დათუნა ნიკოლოზის-ძე ებანოიძის

უდროოდ დაკარგვას დაკრძალვა 5 ოქტომბერს ძირულაში. 63

იოსებ (ცუცა) კორნელის ძე ჭაცარავა უღრმესი მწუხარებით აუწყებს ხაცნობთ და მეგობართ საყვარელი მეუღლის და შვილის

დოდოს

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ქ. ქუთაის 5 ოქტომბერს, გამოსვენება მაუმანის 3 3 მე-2 შეს. № 11

სამუდამოთ გულდამწყვარნი: დედა ცაცუ, ძმა პეტრე ცოლშვილით, დები: ოლია, ქეთო იუწყებიან რომ 6 ოქტომბერს 5 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელი ძმის

დავით (ბადღუ) თოფურიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 74

ბიძა ალიოშა ჩიკვაიძე მწუხარებით აუწყებს სახოგადოებას უსაყვარლესი დისშვილის

დოდო ჭარხალაშვილი-ძაცარავას

უდროოდ დაღუპვას. დაკრძალვა ქუთაისში 5 ოქტომბერს გამოსვენება შაუმიანის მე-2 შესახვევი № 11, 32

ბიძა ჭიკო ჭარხალაშვილი, ბიცოლა თამარა ბებია მცილი შვილებით: თინათინ, გურგენი და ბზიანი აუწყებენ ნაცნობ და მეგობრებს უსაყვარლეს

დოდიკა ჭარხალაშვილი-ძაცარავას

უეცრად დაკარგვას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში 30

ბიძები: